საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/12 "10" აგვისტო 2012 წ.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობაში, სასმელი წყლის ჩადინების შედეგად, იტბორება შენობის სარდაფი. ასევე, ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს შენობა, დიდთოვლობისაგან დაზიანებული კანალიზაციის მილებისა და წყლის გაყვანილობის გამო, დარჩენილია წყლისა და კანალიზაციის გარეშე. შექმნილი ვითარება მოითხოვს შესაბამისი შეკეთება-რეაბილიტაციის სამუშაოების სასწრაფოდ განხორციელებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაზიანებებისაგან გამოწვეული მდგომარეობის გაუარესება.

აღნიშნულისათვის საჭირო შესყიდვების განხორციელება, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროებს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარებას. ზემოაღნიშნულ სასამართლოებში შექმნილი მდგომარეობის დაუყოვნებლივ მოგვარებისა და ტენდერის ჩატარებისათვის საჭირო ვადების გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე:

ა) შექმნილი მდგომარეობა შეფასდეს როგორც გადაუდებელი აუცილებლობა;

ბ) თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი